პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 12 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

6 (1001) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვი 6 ქუჩა ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ჩვენი გაზეთის ამოცანები.

ჩვენმა გაზეთმა გადაიხადა თავისი მეათასე ნომრის „იუბილე“. ამით მან ჯამი გაუკეთა მთელ თავის წარსულ მუშაობას, რომელიც მდიდარია მნიშვნელოვანი მიღწევებით. თავის ოთხ წელზე მეტი არსებობის ხანაში „წითელი არმიელი“ საკმაოდ დაუახლოვდა წითელ არმიელთა მასას, შეიქნა მისი საუკეთესო მეგობარი და გულის მესაიდუმლე. მან შემოიკრიბა თავის გარშემო სამხედროთა მრავალრიცხოვანი არმია, ის გახდა წითელ არმიელის მუდმივი თანამგზავრი და ხელმძღვანელი მის ყოველდღიურ მუშაობაში და ცხოვრებაში. ასეთია საერთოდ და მთლიანად ჩვენი გაზეთის მიღწევები. როგორია მისი უახლოესი ამოცანები?

უპირველეს ყოვლისა კიდევ უფრო მჭიდროთ დაუახლოვდეს წითელ არმიელთა მასას, უფრო მეტად დაუკავშირდეს მას. „წითელ არმიელი“-ს მეორე ამოცანას შეადგენს სამხედროთა ქსელის გაფართოვება და განმტკიცება, როგორც ორგანიზაციული ხაზით, ისე სამხედროების პოლიტიკურ-კულტურული მომზადების ახრივაც. გადაუდებელ ამოცანას შეადგენს აგრეთვე მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის გაზეთის თანამშრომლობაში აქტიურად ჩაბმა. მოსახლეობის გასამხედროების საქმეშიც გაზეთმა უნდა დაიჭიროს მნიშვნელოვანი როლი.

„წითელი არმიელი“ ფართოდ უნდა გავრცელდეს არა თუ ჩვენი წითელი ჯარის ფარგლებში, არამედ საქართველოს ყოველ კუთხეში.

„წითელი არმიელი“ პოპულიარული გაზეთი უნდა გახდეს მთელი მოსახლეობისათვის. ეს დიდი მიღწევა იქნება გასამხედროების საქმეში.

ასეთია ჩვენი გაზეთის მუშაობის მორიგი ძირითადი ამოცანები, რომლებიდანაც გამომდინარეობს მრავალ სხვა და სხვა გვარი მეორე ხარისხოვანი ამოცანები.

ცხადია ეს ამოცანები არც ისე ადვილია. ისინი მოითხოვენ დიდ გაძლიერებულ მუშაობას და საკმაოდ ხანგრძლივ დროს. თავისი არსებობის უმძიმესი პერიოდი „წითელ არმიელმა“ განვლო.

დღეს ის საუკეთესო მეგობარი და გზის მაჩვენებელია ჩვენი წითელ ჯარის. ამიტომაც სრული დარწმუნებული ვართ, რომ წითელი ჯარის ენერგიული და აქტიური დახმარებით ჩვენი გაზეთი გადალახავს ყოველგვარ სიძნელეს და პირნათლათ შეასრულებს ყველა იმ ამოცანებს, რომლებიც წინ უძევს მას.

ამხანაგო წითელ არმიელებო, მეთაურნო და პოლიტმომუშავენო! უფრო ახლოს „წითელ არმიელთან!“ მასთან ერთად განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი წითელი ჯარის რიგები და მაღალ საფეხურზე დავაყენოთ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარი.

„წითელ არმიელთან“ ერთად მედგრათ წინ!

## ბურჟუაზიის ახალი ხრიკი.

ერთო ლიგამ 15 თებერვლისათვის მოიწვია ქ. ჟენევაში (შვეიცარიაში) სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია შეიარაღებათა შემცირების მიზნით. სხვათა შორის ამ კონფერენციაზე ერთა ლიგამ მიიპატიჟა საბჭოთა კავშირიც.

უნებურათ ისმება საკითხი: რაშია საქმე? მართლადაც მოჰკუიანდა ბურჟუაზია, მართლადაც ის შეიქნა ისეთი მშვიდობიანობის მოყვარე და აიღო ხელი ყოველგვარ დაპყრობით პოლიტიკაზე, რომ აპირებს შეიარაღებათა შემცირებას და მასთან საბჭოთა კავშირთან ერთად?

კარგად ჩაუკვირდებით ერთა ლიგის ამ ახალ ნაბიჯს, დავინახავთ, რომ ეს მხოლოდ მორიგი თვალთმაქცობაა ბურჟუაზიის მხრივ, მისი მორიგი ხრიკია მშრომელთა თვალის ახვევად და მოსატყუებლად.

ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ბურჟუაზია შეამცირებს თავის შეიარაღებებს უბრალო ლაყბობაა და სრული სიცრუე.

ამას ამტკიცებს სინამდვილე. 1921 წელშიაც მოიწვია საერთაშორისო ბურჟუაზიამ ასეთი კონფერენცია ქ. ვაშინგტონში. იქაც დაადგინეს შეამცირონ შეარაღებები. მაგრამ გაატარეს იმპერიალისტებმა ეს დადგენილება ცხოვრებაში? სრულიადაც არა.

პირიქით კიდევ უფრო მეტად გააძლიერეს თავიანთ სახელმწიფოების სამხედრო შეიარაღებები, სამხედრო ტეხნიკა და მრეწველობა.

ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1922 წელში, მოუწოდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ბურჟუაზიულ მთავრობებს საყოველთაო განიარაღებისაკენ, რომელსაც იმპერიალისტები აღშფოთებით და სასტიკი უარით შეხვდენ.

ამრიგად ცხადზე უცხადესია, რომ იმპერიალისტები არასოდროს არ შეამცირებენ შეიარაღებებს, სანამ ისინი არსებობენ და არც აიღებენ ხელს სისხლის მღვრელ ომებზე და დაპყრობით პოლიტიკაზე.

მიუხედავათ ყოველივე ამისა საბჭოთა სახელმწიფო მაინც გაგზავნიდა თავის წარმომადგენელს ხსენებულ კონფერენციაზე, გაგზავნიდა იმ მიზნით, რომ იქვე გამოემჟღავნებია იმპერიალისტების თვალთმაქცობა და პირმოთნეობის ნიღაბი ჩამოეხადა მათთვის. მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელი აღებინა საბჭოთა მთავრობას ამ განზრახვაზე. ეს არის ჩვენსა და შვეიცარიის შორის არსებული გამწვავებული მდგომარეობა, სადაც მოწვეულია ეს კონფერენცია. შვეიცარიასთან ჩვენ შეწყვეტილი გვაქვს ყოველგვარი დამოკიდებულება იმიტომ, რომ მან გაამართლა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოროვსკის მკვლელი.

ამხ. ვოროვსკი მოკლულ იქნა შვეიცარიაში.

სანამ შვეიცარიის მთავრობა ბოდიშს არ მოიხდის ჩვენს წინაშე, მანამ არავითარი საქმე არ გვსურს ვიქონიოთ მასთან. ადვილი შესაძლებელია ერთა ლიგას გათვალისწინებული ქონდა ეს გარემოება და მან განზრახ მიგვიწვია კონფერენციაზე იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ უარს ვეტყვით, ხოლო როცა უარს განვაცხადებთ კონფერენციაზე დასწრებისა, ისინი დაიწყებენ ყოველ გზაჯვარედინზე ყვირილს: „აი, ხედავთ, საბჭოთა ხელისუფლება უარს ამბობს შეარაღების შემცირებაზე და ამიტომაც დანაშაულობაც სამხედრო შეიარაღებების ზრდაში მასვე აწევება კისერზეო“.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ და ილაყბონ ამის შესახებ მსოფლიოს მძარცველებმა, ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. მათ მიერ მოწვეული კონფერენცია მხოლოდ მორიგი ხრიკია, რომელიც მიმართულია საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ და აგრეთვე მიზნათ აქვს მშრომელთა მოტყუილება.

ბურჟუაზიის ამ მორიგ ხრიკს ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენი რიგების მეტი შემჭიდროებით და განმტკიცებით.

როგორც ყოველთვის ისე ეხლაც ბურჟუაზიის მორიგი მოტყუილება გამომჟღავნებული იქნება თვით სინამდვილის მიერ.

—ფ.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩან-ძო-ლინმა იაპონიის წყალობით გაიმარჯვა.

ამერიკის ერთი ჟურნალი, რომელიც გამოდის შანხაიში, ჩან—ძო—ლინის გამარჯვებას მიაწერს იაპონიის მოქმედებას და ამბობს: „ჩან—ძო—ლინის გამარჯვება უეჭველია მომზადებულ იქნა იაპონიის ჯარების წყალობით. გო—სუნ—ლინის ფარულად შეპყრობა, მისი ოფიცრების ჩან—ძო—ლინის მხარეზე გადასვლა იაპონიის ჯაშუშებისა და ფულების საქმეა“.

რამდენი ძალა ჰყავდა იაპონიას მანჯურიაში, ამის თქმა ძნელია. მაგრამ ამერიკელები, როგორც ამ საკითხში დიდი გამოცდილების მქონენი, ამბობენ, რომ მანჯურიაში, სულ ცოტა, 20.000 კაცი მაინც ეყოლებოდა იაპონიას.

## შვეიცარიის მთავრობა თავს იმართლებს!

ბურჟუაზია და შემთანხმებლები ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას კონფერენციის ჩაშლის განზრახვაში.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირმა „ცაკის უწყებებში“ გამოაცხადა, რომ ის არ გაგზავნის წარმომადგენელს განიარაღების კონფერენციაზე, რომელსაც აწყობს შვეიცარიაში ერთა ლიგა. საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგია შვეიცარიის იმიტომ, რომ აქაურ მთავრობამ გაამართლა ჩვენი ელჩის ვოროვსკის მკვლელი.

შვეიცარიის მთავრობა ეხლა აცხადებს, რომ ის სრულიად არაა დამნაშავე ვოროვსკის მკვლელობაში.

ბურჟუაზია, გრძნობს რა თავის კონფერენციის უშედეგობას, სურს მთელი ბრალი ამ საქმეში დასდოს საბჭოთა მთავრობას, რომ მას კონფერენციის ჩაშლა სურს და სხვა. მან თითზე დაიხვია უკანასკნელის განცხადება და ააყაყანა თავისი გაზეთები, რათა მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ერთა ლიგის წრეებში ანგარიშს უწევენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობს განიარაღების კონფერენციის წინასწარ სხდომაზე, მაგრამ კონფერენციის ჟენევიდან (შვეიცარია) სხვაგან გადატანის საკითხს უკვე აღარ ღებულობენ მხედველობაში.

## ჩემბერლენის ამხანაგები.

გენუის ფაშისტების ერთმა ჯგუფმა მიულოცა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩემბერლენს ახალი წელი.

ჩემბერლენმა მათ აჩუქა თავისი სურათი წარწერით: „ჩემს გენუელ ამხანაგებს“.

## „კომუნისტური პროპაგანდის საშიშროება“.

ნიუ-იორკის შტატის სავაჭრო პალატამ მიიღო გადაწყვეტილება ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ „მანამ, სანამ რუსეთში ძალა-უფლება კომუნისტების ხელშია“.

რეზოლიუციაში აღნიშნულია „კომუნისტური პროპაგანდის საშიშროება“ და მიმართულია საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეთა წინააღმდეგ.

# საბჭოთა კავშირში

## პოლონეთის პარლამენტის დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

9 იანვარს ვარშავიდან საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა პოლონეთის პარლამენტის დელეგაცია. დელეგაციის უმეტესობა გლეხებია.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია პირადად გაეცნონ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ, კულტურულ და კერძოდ, გლეხობის მდგომარეობას.

საბჭოთა კავშირის მომავალ ურთიერთობის შესახებ დელეგატმა ბრილმა განაცხადა: „პოლონეთი და საბჭოთა კავშირი გლეხური ქვეყნებია. ასე, რომ არის ნიადაგი შეიქნას ჩვენ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამხედრო ავანტიურების საბჭოთა კავშირის მიმართ და ვიბრძოლებთ მტკიცე კავშირის შექმნისათვის“.

## მეურნეობის გაძლიერებისთვის.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიტანა შრომის და თავდაცვის საბჭოში სესხის გეგმა მეურნეობის აღდგენისთვის. სესხი განაწილებულ უნდა იქნას მეურნეობის სხვა და სხვა დარგებზე.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო ეს გეგმა მცირე შესწორებით, რომელიც ითვალისწინებს მრეწველობაზე დახმარების გადიდებას საკურორტო საქმის ხარჯზე.

# საქართველოში.

## მიწის-ძვრა.

8 იანვარს ღამით ახალქალაქში საკმაო ძლიერი მიწის ძვრა მოხდა, რომელიც გაგრძელდა 30 წამი.

# მისალმებები.

## წითელი „არმიელის“ მე-1.000 ნომრისათვის.

„წითელი არმიელის“ მე-1.000 ნომრის გამოსვლის დღეს, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია ძმურ სალამს უძღვნის ქართული წითელი არმიის ბეჭდვითი ორგანოს. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ „წითელი არმიელი“ კვლავ გააგრძელებს საპასუხისმგებლო მუშაობას საბჭოთა საქართველოს წითელ მეომართა აღზრდის საქმეში და მით გააძლიერებს იმ კულტურულ მნიშვნელობას, როგორიც აქვს მშრომელი ხალხის ცხოვრებაში მუშურ-გლეხურ წითელ არმიას—ოქტომბრის მონაპოვართა დამცველს.

გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია.

## გაზეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციას.

გაზეთ „წითელი არმიელი“—ს მე 1000-ე ნომრის გამოშვების გამო ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა ესალმება მას და უსურვებს, რომ მომავალშიც ყოფილიყოს ისევე მტკიცე და ურყევი მებრძოლი მშრომელი ხალხისა და მისი დამცველ წითელ არმიის გათვითცნობიერების სადარაჯოზე, როგორც ეს იყო მის პირველი ნომრიდან მე-1000-ე ნომრის შესრულებამდე.

სამხედრო პოლიტსკოლის უფროსი ნადირაძე.

## უცხო სიტყვების ახსნა.

**ცენზი**—1) აუცილებელი პირობა, რომელიც ანიჭებს პიროვნებას უფლებას ამათუიმ წოდებულობასა ან თანამდებობაზე; 2) **განათლების ცენზი**—საბუთი, რომელიც ამოწმებს პიროვნების მიერ ამა თუ იმ სასწავლებლის დასრულებას.

**ობსტრუქცია**—კანონის შემოღების ან რაიმე საკითხის მიღებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

**ბულიგინის დუმა**—კანონთა სათათბირო დაწესებულება, რომელიც დაარსა ნიკოლოზ მეფემ 1905 წელში. ამით მეფის მთავრობას უნდოდა შეენელებია რევოლიუციონური მოძრაობა. მაგრამ ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვებმა (1905 წ.) ბულიგინის დუმა სავსებით მოსპო.

**პარლამენტი**—სახელმწიფოებრივი უმაღლესი დაწესებულება (ბურჟუაზიულ ქვეყნებში), რომელშიაც შედიან მინისტრები.

**მედიკამენტი**—სამკურნალო მასალები.

**ავანტიურა**—სათუოდ დაწყება რისიმე, რომელსაც არ აქვს მოფიქრებული საფუძველი და დამყარებულია შემთხვევაზე.

**სავაჭრო პალატა**—დაწესებულება, რომელიც განაგებს სახელმწიფოს სავაჭრო საქმეებს.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### მე-2 ლეგიონი.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა მეორე ლეგიონის გაერთიანებული პარტიული კრება. დაესწრნენ ყველა პარტწევრები და კანდიდატები.

კრებამ მოისმინა მოხსენება ლეგიონის ბიურო კოლექტივის მოღვაწეობის შესახებ. პასუხისმგებელი მდივნის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ მუშაობა ბიუროს საკმაოდ ნაყოფიერად უწარმოებია და კრებამ იგი ფრიად დამაკმაყოფილებლად სცნო. შემდეგ მოხდა ბიუროკოლექტივის გადარჩევა, რომელსაც მიუთითა კრებამ დაწყებული მუშაობის ენერგიულად გაგრძელებისაკენ.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროში შემოსული ფული ამჟამად არ იმყოფება სრულად, რისთვისაც მიცემული იქნა სათანადო გაფრთხილება ფულის საჩქაროდ შეგროვებისათვის.

ახალი ბიუროს შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ როგორც მეთაურთა, ისე წითელარმიელთა შემადგენლობიდან.

სამხედრო ე. ჭ—ია.

### ცხენ. ლეგიონი.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა ლეგიონის ახკომკავშირის ჯგუფების ყველა ორგანიზატორებისა და აქტიური წევრების გაერთიანებული თათბირი. თათბირზე გადაწყდა უკოდინარი წევრების მიმაგრება აქტიურ წევრებზე, რაც ერთხმად იქნა მოწონებული.

თათბირმა ამას გარდა დაადგინა: ვინაიდან საკმაოდ მრავლად მოიყარა თავი კომკავშირის წევრებმა დაარსებულ იქნას კომკავშირის მეოთხე სემინარი.

ოცი კომკავშირის წევრებისათვის, თათბირმა გადასწყვიტა მიმართოს ბიუროკოლექტივს, რათა ამხანაგებისათვის გამოიწეროს ოსური გაზეთის ოთხი ეგზემპლიარი.

ბოლოს თათბირმა განიხილა თუ როგორი წესით უნდა ხდებოდეს უპარტიო ამხანაგების კავშირში მიღება, რამაც დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. საერთოდ თათბირს მეტად საქმიანი სახე ჰქონდა.

სამხედრო პ. ნადარეიშვილი.

### მე-4 ლეგ. მე-7 უჯრედი.

ამას წინად მოწვეული იქნა კოლუჯრედის ღია კრება, რომელზედაც გარჩეული იქნა საკითხები წევამდელების კავშირის შესახებ ცვალებადელ არმიელებთან და ამასთანავე მოსმენილი იქნა მოხსენება პარტდამხმარე ჯგუფის ორგანიზატორის მუშაობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტაგანაშვილი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ასეთი კავშირის აუცილებლობას და მის შედეგებს. მოუწოდა ამხანაგებს ყოველმხრივად ხელი შეეწყოთ ამ საქმისთვის და აქტიური მუშაობით თვითონაც შეეტანათ მასში შესაფერი წილი.

პარტდამხმარე ჯგუფის ორგანიზატორის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და ამასთანავე ერთად მიუთითა ზოგიერთ დეფექტებზე, რომ შემდეგში არ ყოფილიყვნენ ისინი განმეორებული.

სამხედრო ისარი.

# სამხედრო საქმე.

## როგორი უნდა იყოს მხედარი.

ცხენოსნის მომზადების ძირითადი მიზანია აქტიური-მხედრის გამომუშავება, რომელსაც კარგად უნდა შეეძლოს ცხენისა და იარაღის მოხმარა საბრძოლო სამსახურის ყოველგვარ შემთხვევაში.

მომავალი ომის პირობებში მოითხოვენ მებრძოლ-მხედრისაგან (ცხენოსანისგან) ცხენზე მოქმედების გარდა ქვეითად მოქმედებასაც. და ეს საბრძოლო მუშაობა ცხენოსანმა უნდა იცოდეს და ასრულებდეს ანაზღაურებით ქვეით მეომარზე. მათ შორის განსხვავება ცოტაა: ქვეით მეომარი აწარმოებს ბრძოლას ქვეითი ჯარის წესრიგით, ხოლო ცხენოსანი აწარმოებს ბრძოლას როგორც ქვეითად, ისე ცხენით. საბრძოლო გარემოება იმდენად რთულია და სავსე მოულოდნელობით, რომ ხშირად მეომარ-მხედარს მოუწევს გასწიოს ქვეითი მეომრის, მესანგრის, ამფეთქებლის, მეელმანის, მეომარ მხედრის მაგივრობა და სხვა.

ამ მოთხოვნილებებთან გამომდინარეობს მთელი რიგი ამოცანების, რომელიც მხედარ-მეომარმა უნდა გადასჭრას მშვიდობიან სწავლების დროს, სახელდობრ:

1. უნდა შეეძლოს ცხენზე მაგრად ჯდომა, გაბედული მოძრაობა ნაბიჯით, ჩორთით და სხვა, გამოცდილებით უნდა შეეძლოს ცხენის მიმართვა და მისი ძალ-ღონის მოფრთხილება; უნდა შეეძლოს ადგილობრივი საგნების (ღობე, თხრილი, ორმო და სხვა) და წყლიან ადგილების (ღელე, ტბის ნაწილი) გადალახვა.

2. კარგად უნდა შეეძლოს ცხენის მოვლის წესი და სწორედ შეკაზმვა, სხვაფერ ის ვერ გემსახურება დიდხანს და წესიერად.

3. ბრძოლის წარმოებისთვის აუცილებელი საჭიროა იცოდეს როგორც ცივი (ხმალი), ისე ცეცხლმტყორცნი იარაღის (შაშხანა, რევოლვერი) ხმარება.

4. კარგად უნდა შეისწავლოს თავისი მოვალეობანი, როგორც ცხენოსან, ისე ქვეით ბრძოლაში და აგრეთვე საველე სამსახურის საქმეში.

5. ბრძოლის წარმოების, საველე, საზვერაო და სხვა სამსახურის ასრულების დროს უნდა შეეძლოს ადგილ-მდებარეობისა და ადგილობრივი საგნების გამოყენება, შენიღბვა და სხვა.

6. ბოლოს სხვადასხვანაირ საბრძოლო პირობებში, როგორც ცალკე, ისე სხვა ჯარებთან შეერთებულ მოქმედების დროს უნდა შეეძლოს თავისი მოვალეობის ნათლად და შეგნებულად ასრულება.

აი ის ძირითადი მოთხოვნილებანი, რომელიც წარედგინება მეომარ-მხედარს და რომელიც მან, როგორც მთელი წითელი არმიის საერთო ოჯახის წევრმა-ჩაგრულთა დამცველმა კაპიტალისაგან, კეთილ სინდისიერად და პირნათლად უნდა აასრულოს და არ დაზოგოს თავისი ძალა, ღონისძიება და სიცოცხლე.

წითელ ცხენოსნებმა, რომელთა ამოცანაა მომავალ ცხენოსან-მეთაურების კადრის მომზადება, არ უნდა დაივიწყონ და აღზარდონ თავისთავში: უმაგალითო გამბედაობა, თაოსნობა, თავისი ძალის შეგნება და ბოლოს თავისი ცხენის სიყვარული.

ყველა ეს მოთხოვნილება უნაკლოდ უნდა აასრულოს წითელმა მხედარმა და მხოლოდ მაშინ დაიჭერს ის ბრწყინვალედ გამოცდებს, როგორც ეს მან დაგვიმტკიცა სამოქალაქო ბრძოლების დროს.

ი. ბ.

# 1904-5 წლები.

## პირად მოგონებიდან.

(გაგრძელება)

ასე ამ რიგად რევოლიუციონური მოძრაობა სწრაფად ვითარდებოდა. მუშების, მოწაფეების და გლეხთა ორგანიზაციები ყოველ დღიურად იზრდებოდნენ და თავიანთ გავლენის ქვეშ იკრებდნენ მშრომელთა ფართე მასებს მეფის მთავრობა ეძებდა გამოსავალს ამ მდგომარეობიდან, სთხზავდა და აქვეყნებდა რაღაც რაღაცა რეფორმებს იმ მიზნით, რომ რევოლიუციონური მოძრაობის სიმძაფრე შეენელებიათ და ამ ზომებით მუშათა კლასი და გლეხობა ჩამოეშორებიათ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის გავლენას.

ამ მიზნით გამოქვეყნდა აგვისტოს რიცხვებში ცნობილი კუდ-მოჭრილი ბულიგინის სათათბირო და ერობათა მართველობა კავკასიისათვის. ეს იმ დროს ხდება, როდესაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი და მებრძოლი გლეხობა აქტიურად ჩაბმულია რევოლიუციონურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ლამობს ძირფესვიანად ამოფხვრას არსებული სახელმწიფოს წყობილება და შესცვალოს ის ხალხის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ.

ასეთ დროს თითქმის დათრობაზე მიდის მთავრობა. ამ მდგომარეობას სისწორით აფასებენ მხოლოდ სოციალ დემოკრატების მემარცხენე ფრთა ბოლშევიკები, რომლებიც სასტიკად აკრიტიკებენ მთავრობის მახინაციებს, მოუწოდებენ მუშებს და გლეხობას იბრძოლო მანამ, სანამ არ დაეცემა თვითმპყრობელობა საბოლოო დამარცხებამდე, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

მენშევიკები სხვანაირად მსჯელობდენ; მივიღოთ მონაწილეობა ბულიგინის კუდმოჭრილ (ასე ვეძახდით მაშინ) „დუმაში“ და შიგნიდან მოუპოვოთ უფლებები ხალხს. ერობის შესახებ კი მენშევიკები ასე მსჯელობდენ; შევიდეთ არჩევნების დროს ვილაყბოთ და მონაწილეობა არ მივიღოთ არჩევნებში.

ბოლშევიკები, როგორც სათათბიროს ისე ერობის წინააღმდეგი იყვნენ.

აგვისტოს თვეში ქუთაისის თეატრში დანიშნული იყო ერობის წინასწარი კრება, სადაც მოწვეული იყვნენ „ცენზიანი“ ხალხი; თავადაზნაურობა, ვაჭრები, ჩინ-ორდენებიანი საზოგადოება და ლიბერალური ინტელიგენცია; მასწავლებლები, ჩინოვნიკები და სხვა. აქ დიდი რიხით გამოდის ესერი ს. ქვარიანი, მენშევიკებიდან ვ. კოკობია და სხვები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებას. ჩვენები, ბოლშევიკები, მომზადებული არიან ობსტრუქციისათვის და მოველით ამხ. შ. ელიავას. შალვაც მოვიდა, აიღო სიტყვა. მისი სიტყვის გათავებამდის შეიქნა აურზაური მაღლა ქანდარაზედ. გავარდა რევოლვერი ხალხის დასაფრთხობლათ. დაბლა სართულშიც იყო ამხანაგები და ისინიც გამოეხმაურენ ქანდარას. ამ აურ-ზაურით დამფთხალი თავად-აზნაურობა და მათი ამყოლი მოხელეები და ვაჭრები გამოცვივნდენ გარეთ და გაქცევით უშველეს თავს. მეორედ აღარც გახსენებიათ შიშისგან კრების მოწვევა. ერთმა მაგრამ ობსტრუქციამ დაავიწყა მათ ერობის კრების მოწვევა.

ამ ხანებში ისეთი ხასიათი მიიღო რევოლიუციის მსვლელობამ, რომ საჭირო გახდა, რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ყველა კითხვებს გაცემოდა სათანადო პასუხი. ყველა ცდილობდა ყოფილიყო გაცნობილი მიმდინარე ამბებში. ამავე დროს ყველა პარტიები სხვადასხვანაირათ აფასებდნენ შექმნილ მდგომარეობას და ყველა ასეთი კითხვების გასარჩევი ადგილი შეიქნა ბაღი, „კროსკის“ ახლოს. ამ ადგილას ყოველთვის საღამოობით თავს იყრიდენ ყველა პარტიების წარმომადგენლები და იწყებოდა კამათი, შემდეგ ერთი ჯგუფი გადაიქცეოდა 5—10 ჯგუფათ. კამათი ცხარე ხასიათს ღებულობდა. შემდეგ ასეთივე ჯგუფური კამათი ბაღის გარეთაც გადმოდიოდა. ყველა მოკამათე ჯგუფის ირგვლივ თავს იყრიდა 40—60 კაცი. ისე გათამამდა ხალხი, რომ პოლიციის მორიდებაც არ ქონდათ. ზოგჯერ ჩამოივლიდა პრისტავი ჯგუფების ახლოს გარადავოების თანხლებით და თვითონ რომ ვერ გაბედავდა გაფრთხილების მიცემას, გოროდოვოის გამოგზავნიდა მოციქულათ, რომ დავშლილიყავით. მაგრამ ვინ უგდებდა ყურს გოროდოვოის მუდარას და გოროდოვოიც ამოძუებული მიდიოდა უკან.

ხ. ლომიძე.

(გაგრძელება იქნება)

# როგორ და როდის იხმარება აირები ბრძოლაში.

### აირის ტყორცნა.

მსოფლიო ომის ბოლოს ინგლისელებმა პირველად იხმარეს აირ-მტყორცნი და დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს.

**მოწყობილი აირმტყორცნი**




1) ელექტრონის ამფეთქი.
2) საყრდნობი ფირფიტი.
3) ამფეთქებელი ნივთიერება.
4) მავთული, რომელიც აერთებს ელექტრონის ბატარეას.

აირმტყორცნი წარმოადგენს ფოლადის მილს, რომელიც დაცობილია ერთი ბოლოდან. მილის ძირზე სდებენ ამაფეთქებელ ნივთიერებას, ამ ნივთიერებაზე—შხამიანი სითხით შეზავებულ ნაღმს. რამოდენიმე აირმტყორცნს (500-დან 1.000-მდე) ჩააწყობენ ჩუმად ამისთვის ამოთხრილ ორმოებში და წაყრიან მიწას. აირმტყორცნებს 50-დან 100-მდი შეაერთებენ ბატარეად. ელექტრონის ნაპერწკლის საშუალებით ცეცხლი უჩნდება დენთს, რაც იწვევს ერთი ან რამოდენიმე ბატარეის ერთბაშად დაცლას.

ნაღმი გაიტყორცნება მიღიდან 2—3 ვერსის მანძილზე და მიწაზე დაცემით სკდება. სითხე დაიშხეფება და იქცევა აირის ღრუბლად. აირის ტალღა ვრცელდება ქარის მიერ, დაახლოვებით, 2—3 ვერსზე ნაღმის აფეთქების ადგილიდან.

თავისთავად ცხადია, რომ აირმტყორცნი იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მტერი ახლოს იმყოფება. გარდა ამისა ნაღმის ჩაწყობა მოითხოვს დიდ დროს. მაშასადამე აირმტყორცნის ხმარება შესაძლებელია მეტ ნაწილად პოზიციურ (სანგრებიან) ომში, ე. ი. მაშინ, როცა მებრძოლი მხარეები დიდხანს სდგანან ერთსადაიმავე ადგილზე. როცა ჯარები მანევრებს აკეთებენ, აირმტყორცნი შეიძლება ხმარებულ იქნას მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობით, მაგალითად, 300—500 ცალამდი. აირმტყორცნის ასეთი რაოდენობის ჩაწყობა მოითხოვს რამოდენიმე საათს.

პ.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

## ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

„წითელ არმიელის“ მეათასე ნომრის გამოშვების გამო რედაქციას მოუვიდა ნაწილებიდან მრავალი კორესპონდენციები, რომელთა გაშვება ერთ ნომერში ტეხნიკურად შეუძლებელი გახდა. მთელი ეს მასალა თანდათანობით მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში.

## ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲦᲓᲐᲜᲡ.

მხურვალე, სალამი წითელ არმიელების გულსა და სულს და განსაკუთრებით, პირადათ ჩემს აღმზრდელს გაზეთ „წითელ არმიელს“ და მის მეათასე ნომერს.

თავისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, ჩვენმა გაზეთმა ბევრ უცოდინარ გლეხის შვილებს აუხილა თვალი და შეაგნებია თავისი ინტერესები. კიდევ მეტი—მისი საშვალებით ბევრმა ისწავლა კალმის ხელში დაჭერა და უსამართლობასთან ბრძოლა. გაზეთ „წითელ არმიელმა“ მრავალი გამოცდილი სამხკორი გაუშვა სოფლად, რომლებიც ამ ჟამად საუკეთესო სოფლკორებად ითვლებიან და მედგრად ებრძვიან ჩვენი სოფლის ცხოვრებაში არსებულ უსამართლობას.

პირადათ მე, გაზ. „წითელ არმიელმა“ მასწავლა წერა, შემაყვარა ქართული ლიტერატურა, შემაყვარა სამხედრო საქმე, რომელსაც თუ კარგად შევისწავლით, ვიცი რომ ადვილად გაუმკლავდებით მშრომელი ხალხის მტრებს.

გაზ. „წითელ არმიელმა“ მთელი ასი პროცენტით შესძლო თავისი საქმის შესრულება. უსურვებთ მას კიდევ უფრო გაესკეცებინოს თავისი მუშაობა და ენერგიულად განაგრძოს თავისი გზა მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ.

სალამი და დიდება ქართული წითელი ლაშქრის ჩირაღდანს, საბჭოთა ხელისუფლების დარაჯს გაზ. „წითელ არმიელს“ და მის დიად იუბილეს.

სამხკორი ჭკადუა

## ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ.

მე-2 საკავშირო და მესანგრე ასეულების სამხკორთა წრე ესალმება და ულოცავს წითელ მოლაშქრეების ერთგულ მეგობარს და მესაიდუმლეს გაზეთ „წითელ არმიელ“-ს მისი მეათასე ნომრის გამოსვლას.

უსურვებთ მას, რომ გაეორკეცებინოს თავისი მუშაობა. ჩვენ ვეცდებით ყოველივე ჩვენი ნაწილის დადებითი და უარყოფითი მხარე აღვნიშნოთ და გავაშუქოთ მის ფურცლებზე რათა გაზეთის საშუალებით მოვსპოთ ყველა ის ნაკლი, რასაც ადგილი ექნება ჩვენს ნაწილებში.

სამხკორთა წრე.

## ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“-Ს ᲛᲔᲐᲗᲐᲡᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲡ.

არ შემიძლია გულზე ხელებ დაკრეფილი გავჩუმდე და არ ვუსურვო მეტი ენერგია და მუდამ გამარჯვება ჩვენი ნებისყოფის გამტარებელ და წითელი ჯარის გამათვითცნობიერებელ ორგანოს გაზეთ „წითელ არმიელს“.

დღიდან ჩვენი საყვარელ გაზეთ „წითელი არმიელის“ თანამშრომლობის დაწყებისა, მეც წითელ არმიელს, ჩამესახა გულში მისდამი სიყვარული, რადგანაც მასში დავინახე სამართლიანად საქმისადმი მიდგომა და წითელარმიელთა გათვითცნობიერებისაკენ მოწოდება და ზრდა.

ყოველივე ამის შემდეგ თამამად შემიძლია ვსთქვა არამც თუ კერძოთ ჩემი, არამედ მთელი წითელარმიელების სახელით, რომ ჩვენ ყოველთვის და ყოველგან ვეცდებით გავავრცელოთ ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი მეგობარი ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“.

იმედია გაზეთი „წითელი არმიელი“, ისე, როგორც დღემდის, მომავალშიც მეტი ენერგიით წინ წაიყვანს და გაუძღვება წითელარმიელთა ფართო მასას გათვითცნობიერებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენი გაზეთ „წითელი არმიელის“ მეათასე ნომერს.

სამხკორი მ. ოდიშარია.

## ᲒᲐᲖ. „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“-Ს ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ჩვენ დღეს ვზეიმობთ გაზეთ „წითელ არმიელი-“ს მეათასე ნომრის გამოსვლას.

„წითელ არმიელმა“ დიდი სამსახური გაუწია წითელ არმიელებს. ჩვენმა გაზეთმა აღზარდა მრავალი წითელი არმიელი სამხკორებად. იმათგან ვინც წავიდენ შვებულებაში მოგვდის სოფლებიდან წერილები კედლის გაზეთისათვის და „წითელ არმიელისათვის“. ამით დაეკავშირა შვებული წითელ არმიელი თავის აღმზრდელ ყაზარმას და ყოველივეს გებულობს ამ საშუალებით. ჩვენი გაზეთი გავრცელდა სოფლად და ქალაქებში.

1922 წლიდან ვკითხულობ „წითელ არმიელს“ და ეს არის ჩემი ნამდვილი მეგობარი.

უსურვებ ჩვენს გაზეთს მედგრად წინსვლას და გამარჯვებას ყველა ფრონტზე.

სამხკორი აკაკი არველაძე.

## ᲛᲔ-4 ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲒᲐᲖ. „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲡ“ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲐᲗᲐᲡᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

**ჩვენი საყვარელი გაზეთის მეათასე ნომრის იუბილეთი ამაყობს ჩვენი ლეგიონის მთელი შემადგენლობა.**

სიტყვა „ათასი“ ახარებს თითეული სამხკორის და წითელი მებრძოლის გულს და ეკალივით ესობა მათ, ვისაც ეგონათ რომ ქართველი კომუნისტები არამც თუ ქართული წითელი ლაშქრის ორგანოს დაარსებას, არამედ თითონ ქართულ წითელ ჯარსაც არ შექმნიანო.

მიუხედავად მრავალი მატერიალური დაბრკოლებებისა და ცუდი პირობებისა, რომელშიდაც ჩვენს ორგანოს უხდებოდა არსებობა, მას მაინც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია თავისი საქმე. მან შესძლო თავის ფურცლების საშვალებით სულიერი საზრდო მიეწოდებია ახალგაზრდა წითელი მოლაშქრისათვის და სათანადოთ მომზადებული გაეშვა ისინი სოფლად.

ჩვენი ორგანო კიდევ მედგრად განაგრძობს მუშაობას და სათანადო დახმარებას უწევს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას წ. ლაშქრის ჩამშენებლობისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენმა საყვარელმა გაზეთმა მრავალი არა საიმედო ელემენტები ამხილა და გასწმინდა მათგან ჩვენი რიგები. ის შეუპოვარი მხილებელია და მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის.

ვესალმებით რა ჩვენს საყვარელ გაზ. „წითელ არმიელი“-ს მეათასე ნომერს, მე-4-ხე ქარ. ტერ. მსრ. ლეგიონის შემადგენლობა და სამხკორთა ორგანიზაცია უსურვებთ მას წარმატებითი საქმიან მუშაობას, რომ აღზარდოს მომავალში მუშურ გლეხური შვილებისაგან შემდგარი წითელი ლაშქარი და მისი მეორე მეათასე ნომერი გამოსულიყოს იქ, სადაც ჯერ კიდევ გმინავს პროლეტარიატი საზიზღარ კაპიტალისტების უღელ ქვეშ.

ჩვენც ფიცს ვსდებთ, რომ ხელი ხელ ჩაკიდებულნი, როგორც ერთი ვიბრძოლებთ, საყვარელ გაზ. წითელი არმიელის“ არსებობისათვის!

გაუმარჯოს „წითელი არმიელის 1000 ნომერს!

გაუმარჯოს სახელოვან წ. ლაშქარს!

მონდობილობით სამხ. ჯლანკი.



1-ლ საკავშირო ასეულის სამხკორები.



ამხ. ლ. ჭელიძე.

## ᲛᲔ-1000 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.

ჩვენი გაზეთის მეათასე ნომერის გამოსვლა ქართული წითელი ლაშქრის უდიდესი გამარჯვებაა. არა ნაკლებ ვამაყობთ ამ მოვლენით ჩვენ, სამხედრო კორესპონდენტები, რომლებიც გაზ. „წითელ არმიელმა“ გაგვზარდა, გაგვწვრთნა და და ჭირსა და ლხინში, მრავალ გაჭირვებისა და მატერიალური სივიწროვის მიუხედავათ, მაინც განაგრძობდა თავისი უდიდესი საქმის კეთებას.

ეს დღესასწაული ჭეშმარიტად უდიდესი დღესასწაულია ჩვენი წითელი ჯარისთვის, რომელსაც ზუქმფენი ჩირაღდანით მიუძღვის ის წინ.

გაზეთ „წითელ არმიელმა“ მოგვცა უდიდესი გამოცდილება და მოამზადა სოფლკორებისა და მუშკორების საუკეთესო კადრი, რომლებიც მოეფინენ ჩვენს სოფლებს და განაგრძობენ მუშაობას სამოქალაქო პრესაში. მათ ბევრი სამოქალაქო მსახური დააყენეს გამოსწორების გზაზე და აგრძნობიეს თავიანთი დანაშაულობანი.

ბევრი დაბრკოლებები გადალახა ჩვენმა გაზეთმა და ბევრიც წინ უძევს, განსაკუთრებით ნივთიერის მხრივ. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მას და შევაძლებინოთ თავისი საქმის კეთილად დაგვირგვინება, რომ კვლავ არა ერთი და ორი კორესპონდენტები მისცეს მან სოფელსა და ქალაქს.

მხურვალე სალამი გაზ. „წითელ არმიელს“.

კურსანტი.

## ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲩᲘᲠᲐᲦᲓᲐᲜᲡ.

გაზ. „წითელ არმიელის“ იუბილე, ქართული წითელი ჯარის ავაშკაცებას, გაწვრთნის და ყოველმხრივი მომზადების დღესასწაულია. ამიტომ არის ეს მოვლენა ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და სასიხარულო.

მას ერთი წუთით არ გაუშვია მხედველობიდან მისი მაღალი მოვალეობა თავისი არსებობის განმავლობაში და ყოველთვის მტკიცედ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ამ დღეს, გაზ. „წითელ არმიელის“ მეათასე ნომრის გამოშვების დღეს, განსაკუთრებული ადგილი ეკავება ქართული წითელი ლაშქრის ისტორიაში.

რომ მომავალშიც შესძლოს მან თავისი საქმის გაგრძელება, საჭიროა გვახსოვდეს, რომ სულიერ საზრდოსთან ერთად მას არ მოვაკლოთ მატერიალურ საზრდოც. ეს თვითონ ჩვენ, წითელ არმიელებმა უნდა ვიკისროთ, გამოვიწეროთ ის, რადგან ამ გაზეთს აქვს ჩვენთვის ის აუცილებელი რამ, რაც აკლია სხვა გაზეთებს და რასაც ისინი ვერასდროს ვერ მოგვცემენ.

1-ლი საარტილერიო ლეგიონის სამხკორები, ამ ისტორიული მნიშვნელობის დღეს ვფიცავთ, ყველაფერი ვქნათ ამისათვის და მით ხელი შეუწყოთ ქართული წითელი ლაშქრის განმტკიცების საქმეს.

გაუმარჯოს ჩვენი საყვარელი გაზეთის მომავალს.

სამხკორი ტ. მამალაძე.

## 1000 ᲜᲝᲛᲔᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲚᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ

1-ლი საკავშირო ასეული.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს მეათასე ნომერს ჩვენი ასეული და მისი სამხკორთა ორგანიზაცია უჩვეულო სიხარულთან ერთად ძლიერ მტკიცედ ჩამოყალიბებული ხვდება. სამხკორთა დანიშვნით სისტემის შეცვლის შემდეგ, ასეულში საგრძნობლად გადიდდა სამხკორების რიცხვი. 1925 წ. ზაფხულის განმავლობაში ასეულის სამხკორთა წრე გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა. ამ გარემოებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი სექტემბერში მომხდარ სადივიზიო სამკორთა კონფერენციის დადგენილებებმა, რამაც სისტემატიური ხასიათი მისცა სამხკორებსა და კედლკორების მუშაობას.

გრძელ ვადიან შვებულებაში გაშვებამ ძლიერ შეათხელა ჩვენი რიგები, მაგრამ მალე ისევ შევსებული იქნა ის ახალწვეულების ახალი კადრით და კვლავ გიჩაღდა მუშაობა. ჩვენი წრე ამ ჟამად ოცამდე სამხკორი ითვლის. ხელმძღვანელის თაოსნობით მეცადინეობა სწარმოვებს თვეში ორჯერ.

დღეს საკმაოდ მოღონიერებული და გამხნევებული ვხვდებით ჩვენი ძვირფასი ორგანოს მე-1000 ნომერს. გულწრფელად ულოცავთ მას ამ იუბილეს და ვისურვებთ ჩვენც შევიტანოს წვლილი მის მომავალ ნაყოფიერ მუშაობაში.

წ. არმ. ვ. კუნჭულია.

## ᲛᲔ-1000 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.

დღეს გამოდის საყვარელ გაზ. „წითელ არმიელი“-ს მე-1000 საიუბილეო ნომერი. გაზეთი ამ ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურება ქართულ წითელ ლაშქრელებს და დიდათ ხელს უწყობს მათი გათვითცნობიერების საქმეს.

ვესალმებით რა მე-1000 ნომერს, ვუსურვებთ მას გაძლიერებას და განმტკიცებას ფართე მასშტაბით, ჩვენ კი წითელ მოლაშქრეები ფიცსა ვსდებთ, რომ მივიღოთ აქტიური მონაწილეობა მის გაძლიერებაში.

გაუმარჯოს მე-1000 ნომერს!

გაუმარჯოს მის მომავალ არსებობას!

2-რე ცალკე მესანგრე ასეულის წ. ა. ბალავაძე.

## ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ.

I

— სამხკორო ნუ გძინავს!..

— სამხკორო, გაიღვიძე!..

— მოიწერე ნაწილის ცხოვრებიდან!..

— წითელ არმიელო, იკითხე შენი გაზეთი!..

ასე მიმართავდა მსხვილი, შავი ასოებით პატარა, ცალგვერდა, ლიპრედ ქაღალდზე დაბეჭდილი გაზეთი „წითელ არმიელი“ თავის თანამშრომელ და მკითხველ წითელ არმიელებს.

ასე მიმართავდა და შემდეგ ელოდა დღეებით, თვეებით. მას შიოდა: არ ჰქონდა საზრდო კორესპონდენციები.

მაგრამ ეს იყო მაშინ, იმ ხანებში, როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვარზე პირველად ჩამოართვა ხელი თებერვალმა წითელ ოქტომბერს.

ეს იყო მაშინ.

მაგრამ სამხკორს ეძინა!? არა, მას არ ეძინა. ის ფიქრობდა თუ როგორ დაეწერა კორესპონდენცია.

არ ეძინა წითელ არმიელსაც.

ის სწავლობდა წერა-კითხვას, რომ შემდეგ კორესპონდენციები ეწერა, რომ დაეწყო თანამშრომლობა თავის გაზეთში.

II

— დღეიდან ჩვენი გაზეთი, გამოდის ოთხი გვერდი.

— ამხანაგებო, მოგვაწოდეთ წერილები, კორესპონდენციები!

ასე მიმართავდა თავის თანამშრომელ წითელ არმიელებს გაზეთი „წითელი არმიელი“.

ეს იყო მაშინ, როცა ქართული ლაშქრის საფუძველი საკმაოდ განმტკიცდა, როცა სამხკორმა გაიგო, თუ რაზე უნდა ეწერა, როცა წითელარმიელმა წერა-კითხვა ისწავლა...

III

— ამხანაგებო! მალე უნდა გამოვიდეს გაზ. „წითელი არმიელის“ მე-1000, საიუბილეო ნომერი. გამოგზავნეთ სურათები, წერილები, მოგონებები.

ასეთი იყო ბოლონდელი მოწოდება გაზეთის.

—

რედაქციაში გაცხოველებული მუშაობაა.

ელსმენი რეკს. ისმის:—როდის გამოდის მეათასე? წამდაუწუმ შემოდიან სამხკორები, წითელარმიელები. მოაქვთ სურათები, წერილები, მისალმებები...

გაზეთი „წითელი არმიელი“ აღნიშნავს მეათასეს.

ის იგონებს განვლილ მანძილის სიძნელეს თავის არსებობის მეხუთე წლის საზღვარზე და მხურვალედ ესალმება ქართულ წითელ ლაშქარს.

№

# გამოასწორეთ ნაკლულევანებანი

მიხედეთ საჯინიბოს.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგ. პირველი ესკადრონის საჯინიბოში ბევრი რამ არის მიტოვებული უყურადღებოთ, რის გამოსწორება არც ისე ძნელია. მაგალითად საჯინიბოში წვიმების დროს ჩამოდის წყალი და ცივდება ცხენები.

ამას რომ თავი დავანებოთ ისეთი ტბა დგება შიგ, რომ შეუძლებელია ზოგჯერ იქ შესვლაც. მეორე—საჯინიბო არ არის დაცული ღორების თარეშისაგან, რომლებიც ჩუჩქნიან მიწას. მესამე ცხენებს შორის არაა გაკეთებული ხარიხები და ცხენები წიხლებით ამტვრევენ ერთმანეთს. დროა სამხედრო ნაწილის უფროსმა ჩაიაროს საჯინიბოში და მიიღოს ზომები ყველა აღნიშნულ ნაკლულევანებების გამოსასწორებლად.

სამხედრი თ—რია.

# ჩვენი ბიბლიოთეკა.

მე-3 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში კარგა ხანია დაიწყო სისტემატიური საბიბლიოთეკო მუშაობა.

გადარჩეული იქნა ბიბლიოთეკაში არსებული მთელი ლიტერატურა, რომელთაგან გამოყვეს წითელ არმიელთათვის აუცილებელი წიგნები და ურიგდებათ მსურველებს. შედგა სარეკომენდაციო სიები თანახმად დროის მიხედვისა და გამოკრული იქნა ყველას საყურადღებოთ.

საჭიროა მხოლოდ დაჩქარებით იქნეს მოწვეული ბიპსაბჭო, რომელიც კარგა ხანია არ შეკრებილა. იმედია ახალი ბიბგამგე დროზე მოაგვარებს ამ საქმეს.

სამხედრითიელი.

# ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი „ხელოვნება“ №23-24.

გამოვიდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ორგანო „ხელოვნება“—ს, ქართული თეატრის საიუბილეო ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია წერილები, რომლებშიაც წამოყენებულია თანამედროვე ქართული თეატრის საჭირბოროტო საკითხები.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე არტისტებისა და სათეატრო ხელოვნების მუშაკთა მრავალი პორტრეტი. დაბეჭდილია საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე და შეიცავს 65 გვერდს. თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ ჟურნალი როგორც გარეგნული ფორმით ისე შინაარსის მხრივ დიდი ნაბიჯია წინ და ამკარა საბუთია ჩვენი, თანამედროვე თეატრის მიზნების სწორი შეგნებისა და ნაყოფია ენერგიული, სერიოზული შრომის.

# ამბები სოფლებიდან.

— **ტრაქტორები სოფლებში.** ქვემო-ქალის თემ-აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გორი სამაზრო აღმასკომის წინაშე 5 ტრაქტორის გადაცემის შესახებ თემის სოფლების საჭიროებისათვის.

— **ძეგვის აღმასკომმა** დაადგინა ზამთრობით ღამე სოფლის ქუჩების განათება.

— **გლეხკომის კვირეული** დუშეთის მაზრაში ახლო ხანში ჩატარდება გლეხკომის კვირეული.

— **ყრუ-მუნჯთა აღწერა** უკვე ჩატარდა სენაკის მაზრაში.

— **სკოლა გლეხებისათვის** სოფ. ატენის (გორ. მაზრა) აღმასკომმა დაადგინა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლისათვის გამოანახოს ცალკე შენობა.

# ახალი ამბები.

— **შეღავათი წითელ არმიელებს.** შრომის კომისარიატის დადგენილებით ყოფ. წითელ არმიელები სამუშაოზე მიღების დროს სარგებლობენ პროფკავშირის წევრების უფლებებით.

— **გასული წლის** სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თბ. მაზრიდან აღმასკომს იანვრისათვის შემოუვიდა 3 ათას 898 მან.

— **წყალსადენის გაყვანა.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა გაიყვანოს წყალსადენი იმ სახლებში, სადაც სანიტარული პირობების დასაცავათ წყალია საჭირო.

— **ქარხანა სვანეთში.** საქ. სატყეო ტრესტმა დაადგინა სვანეთში ააგოს ხე-ტყის სახერხი დიდი ქარხანა.

— **საბინაო კავშირი.** განზრახულია დაარსდეს სრ.საქართ. საბინაო ამხანაგობათა კავშირი.

— **შაქრის მიღება.** შინავაჭრობის კომისარიატმა რუსეთიდან მიიღო 3 ათასი ფუთი შაქარი.

— **ახალი მანქანები.** წარმოების გაუმჯობესების მიზნით მე 3 თამბაქოს ქარხანაში დაიდგა 5 ახალი მანქანა.

— **შოფერების გამოცდა.** ტფილ. აღმასკომმა შეადგინა კომისია შოფერების ცოდნის შესამოწმებლათ.

# განცხადებები

საქართველოს კომუნისტური პარტიის 3-მე რაიკომი აცხადებს, რომ სამშაბათ 12 იანვარს, საღამოს ხუთ საათზე რაიკომის დარბაზში შესდგება უჯრედების კომისიის საკავშირო თათბირი სამხედრო პარტორგანიზაციებთან ერთად.

უჯრედების მდივნების, სამხედრო პარტორგანიზაციებ-კავშირის კომისიის ყველა წევრებისა და მიმაგრებულ სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

მეორე არტ-ლეგიონის ბიურო კოლექტივი ამით აცხადებს წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ ოთხშაბათს 13 იანვარს ლეგიონის სადგომში ნაშუადღევის 3 საათზე დანიშნულია ბ/კ, მორიგი სხდომა რომელზედაც დასწრება სავალდებულოა.

ბიურო კოლექტივის პ/მ. მდივანი კულუმბეგაშვილი.

მდივანი ტყიბუჩავა.

გაავრცელე — გაავრცელე

## ამხანაგო წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ“-ს

გაზ. „წითელი არმიელი“ — გაზ. „წითელი არმიელი“

[illegible] — გამოიწერე

გამოიწერეთ გაზეთი

## „წითელი არმიელი“

## სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება

# „ბოეცი“-ს

გამგეობა

ამით აცხადებს:

I

საქართველოს ყოფილი მთლიანი სამხედრო კოოპერატივის („ევკოგრუზი“) წევრთა ხელახალი აღრიცხვა, რომლებიც (წევრები) მიღებულ იქნენ სამხედრო მომხმარებელ საზოგადოება „ბოეცი“-ს მიერ,

**გადადებულია 1-ლ თებერვლამდი.**

ვინც დანიშნულ ვადაში არ გამოცხადდება აღრიცხვაზე, მექანიკურად გამოირიცხება წევრობიდან.

II

**12 იანვარს, საღამოს 6 საათზე** (რუსთაველის პროსპექტი № 34, სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცი“) შესდგება დუქნების კომისიებისა და კოოპორგანიზაციების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კამპანიის წესრიგის შესახებ;
2. საკოოპერაციო მუშაობის შემდეგი კამპანიის შესახებ;
3. კოოპერატიული წრეების მუშაობის შესახებ.
4. დუქნების კომისიების კონკურსის შესახებ;
5. სხვა და სხვა.

III

იანვარში ჩატარდება დელეგატებისა და რწმუნებულთა საარჩევნო კამპანია სარაიონო და რწმუნებულთა კრებებისთვის.

დაწესებულია შემდეგი ნორმა:

სარაიონო კრებაზე 10 წევრი ირჩევს 1 დელეგატს და 100 წითელ არმიელი—1 დელეგატს.

რწმუნებულთა კრებაზე:

სარაიონო კრებაზე 20 დელეგატი ირჩევს ერთ რწმუნებულს.

გამგეობა

## ამიერ-კავკასიის ხორცით ვაჭრობის სააქციონერო საზოგადოება „ზაკმიასოტორგ“-მა

გააფართოვა რა თავისი ოპერაციები ტფილისსა და ბაქოში, დაამზადა ხორცის ნაწარმოების დიდძალი პარტია საუკეთესო ჯიშის მსხვილი და წვრილი საქონლისაგან:

მსხვილი საქონლის („გოვიადინა“)—ჩრდილოეთ კავკასიის (ყირგიზკალმიკურ ჯიშისა) და ყარსის საქონლისაგან;

ცხვრის ხორცი—განსაკუთრებით მაზეხის ჯიშის ცხვრების საუკეთესო ხარისხისა (სურმალინის მაზრის, არარატის მიდამოებიდან).

ღორის ხორცი—აბხაზეთისა და სამეგრელოს საუკეთესო ჯიშის ღორებიდან.

ვაჭრობა ბითუმად და წვრილად

**ბითუმად:**

ბითუმად ვაჭრობის საწყობი № 2 ბაზრის ქუჩა.

**წვრილად:**

წვრილად ვაჭრობის მაღაზიები ტფილისისა და ბაქოს ყველა რაიონებში (ტფილისში: ვაზნესენსკი, დავიდოვის, ოლღას, ვერის პასაჟი, ჩერქეზოვის, ვაგზლის, რაზიეზჟაია, დიდუბის, ბაზრის, პუშკინის ქუჩები.

იხსნება:

ავლაბარში (კახეთის მოედანი), ნავთლუღში, ნახალოვკაში, კირკის ქუჩებზე და სხვა.

ბაქოში—შემახის, ბალახანის, ტელეფონის, ბირჟის, ტორგოვაია და სხვა ქუჩები.

**ფასები კონკურენციის გარეშე:**

1) ბითუმად ვაჭრობა სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერაციებისთვის:

მსხვილი საქონლის ხორცი („გოვიადინა“)—16 კილო (1 ფუთი) . . . 10 მან.

ცხვრის ხორცი— 16 კილო (1 ფუთი) . . . 13 მან.

(დუმით არა ნაკლებ 15 გირვანქისა წონით.)

ღორის ხორცი— 16 კილო (1 ფუთი) . . . 11 მან.

2) ძერძო ვაჭრობისათვის:

მსხვილი საქონლის ხორცი („გოვიადინა“)—16 კილო (1 ფ.) 11 მან.-დან 12 მ. და 50 კაპიკამდი.

ცხვრის ხორცი— 16 კილო (1 ფ.) 13 მ. 50 კაპიკიდან 14 მანეთამდი

(დუმით არა ნაკლებ 15 გირვანქისა წონით.)

ღორის ხორცი— 16 კილო (1 ფ.) 11 მან. და 50 კაპ.-დან 12 მან. მდი.

**წვრილი ვაჭრობისათვის:**

მსხვილი საქონლის ხორცი („გოვიადინა“)—1 კილო (2 ნახ. გირვანქა) . . . 66 კაპ. ანუ გირვანქა 27 კაპიკი.

ცხვრის ხორცი— 1 კილო (2 ნახ. გირ.) 81 კაპ. ანუ გირ. 33 კაპ.

ღორის ხორცი— 1 კილო (2 ნახ. გირ.) 66 კაპ. ანუ გირ. 27 კაპ.

უტყავოდ—1 კილო (2 ნახ. გირ.) . . . 78 კაპ. ანუ გირ. 32 კაპ.

## იყიდება ყველაზე

გამგეობა.

ნ. დ. ს. ც.

სამხედროსტამბა კეცხოველის ქ № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე